

შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს

დირექტორი: მ.ბერიძე

ტელ: 551 113 030



## შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“

(თერჯოლა, სოფ.ნახშირღელე)

ფეროშენადნობთა ქარხნის ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემისა და სანიაღვრე ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლოატაციის

სკრინინგის განაცხადი

თერჯოლა 2020 წ.

შინაარ სი

1.	შესავალი .....	2
2.	საწარმოს მდებარეობა .....	3
3.	ტექნოლოგიური პროცესის აღწერა .....	5
3.1.	ფეროშენადნობების წარმოება .....	5
3.2.	აგლომერატის წარმოება.....	6
4.	საწარმოს ტერიტორიის განაშენიანება და ინფრასტრუქტურა.....	6
5.	საწარმოში წყლის გამოყენება .....	9
6.	საწარმოს ჩამდინარე წყლები .....	9
7.	სანიაღვრე ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა.....	13
8.	სანიაღვრე ჩამდინარე წყლების ჩაშვება.....	15
9.	ფეროშენადნობთა ქარხნის ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების შემკრები არხებისა და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლოატაციით გარემოზე შესაძლო ზემოქმედება .....	17
9.1.	ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე.....	17
9.2.	ხმაურის ზემოქმედება .....	17
9.3.	ზემოქმედება ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე .....	17
9.4.	ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე .....	18
9.5.	ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები.....	18
9.6.	ზემოქმედება ბუნებრივ ლანდშაფტსა და ბიოლოგიურ გარემოზე.....	18
9.7.	ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე.....	18
9.8.	ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე.....	19
9.9.	ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე .....	19
10.	დანართები .....	20
10.1.	დანართი 1. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება 21	
10.2.	დანართი 2. სამინისტროს 22.04.2020 N4028/01 წერილი.....	30

## 1. შესავალი

შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-მ ფეროშენადნობების (ფეროსილიკომანგანუმი, ფერომანგანუმი და ფეროსილიციუმი) ქარხნის საექსპლუატაციო პარამეტრების (წარმადობის გაზრდის) შეცვლის და აგლომერაციის საამქროს მოწყობა- ექსპლოატაციაზე 2019 წელს გაიარა საქართველოს კანონი „გარემოსაცვითი შეფასების კოდექსი“-თ გათვალისწინებული (სკრინინგის, სკოპინგისა და გზმ-ს) პროცედურები და საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 17/06/2019 N2-552 ბრძანებით მიიღო გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება“.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მე-8 პუნქტის შესაბამისად, კომპანიას დაევალი „ექსპლუატაციის პირობების შეცვლამდე, უზრუნველყოს ხანძარქრობის სისტემებისა და საწარმოს საერთო ფართობზე (ავტოსამრეცხოსა და ავტოგასამართის ჩამდინარე წყლების გარდა) წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების (ანგარიში/მართვა) შესახებ დეტალური ინფორმაციის სამინისტროში შესათანხმებლად წარმდგენა“.

ზემოაღნიშნული პირობის შესრულების უზრუნველყოფის მიზნით, საწარმომ შეიმუშავა ხანძარქრობის სისტემისა და საწარმოს სანიაღვრე წყლების მართვის დეტალური გეგმა, რომელიც 2020 წლის 11 მარტს, შესათანხმებლად წარდგენილი იქნა სამინისტროში.

სანიაღვრე წყლების გეგმა ითვალისწინებს საწარმოს ტერიტორიაზე წყალშემკრები არხების და სანიაღვრე ჩამდინარე წყლების მექანიკური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა/რეაბილიტაციას.

სამინისტროს 2020 წლის 22 აპრილის N4028/01 წერილის თანახმად, რადგან სანიაღვრე წყლების მართვის საკითხები, მათ შორის სანიაღვრე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია არ იყო გათვალისწინებული პროექტის გზმ-ს ანგარიშსა და სამინისტროსთან შეთანხმებულ ზედაპირული წყლის ობიექტში, ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტში, გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 პუნქტისა და II დანართის 10.6 ქვეპუნქტის შესაბამისად, დაგეგმილი პროექტის განხორციელება ექვემდებარება სკრინინგის პროცედურას.

ზემოაღნიშნულის გათვალისწინებით, „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ მე-7 მუხლის მოთხოვნების შესაბამისად შემუშავებული იქნა სკრინინგის განაცხადი.

ზოგადი ცნობები საწარმოს შესახებ მოცემულია ცხრილში 1.

ცხრილი 1

ქარხნის ოპერატორი კომპანია	შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“
კომპანიის იურიდიული მისამართი	თერჯოლის რ-ნი, სოფ. ნახშირღელე
საწარმოს მისამართი	თერჯოლის რ-ნი, სოფ. ნახშირღელე
საქმიანობის სახე	მეტალურგიული წარმოება
დირექტორი	მამია ბერიძე
საკონტაქტო ტელეფონი	5 99 433 040
გარემოს დაცვის საკითხებზე პასუხისმგებელი პირი	ეკა კლდიაშვილი
საკონტაქტო ტელეფონი	591 25 26 25
საკონსულტაციო კომპანია	---
პროექტის ხელმძღვანელი	მიხეილ ჯანაშვილი, თეიმურაზ კეკულაძე
საკონტაქტო ტელეფონი	591 913928; 591 157272


## 2. საწარმოს მდებარეობა

შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს ფეროშენადნობთა საწარმო მდებარეობს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ნახშირღელეში, ქალაქ ქუთაისიდან სამხრეთ აღმოსავლეთით 10 კმ მანძილზე. ობიექტს დასავლეთის, აღმოსავლეთისა და ჩრდილოეთის მხრიდან ესაზღვრება სოფლების, ჭოგნარისა და ნახშირღელეს საწარმოო ტერიტორიები და ობიექტები, სამხრეთიდან ესაზღვრება სახელმწიფო მნიშვნელობის ჩქაროსნული საავტომობილო გზის ზესტაფონი-ქუთაისის მონაკვეთი. უახლოესი მდინარეა ყვირილა, რომელიც საწარმოდან დაშორებულია 490 მ-ით.

მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე გადის რკინიგზის მაგისტრალის სამტრედია-ხაშურის ხაზი. უახლოესი რკინიგზის სადგური არის, ზესტაფონის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე, სვირში.


საწარმო განთავსებულია შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს კუთვნილ არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ორ ნაკვეთზე (ნაკვეთის კოდი 33.04.37.327 და 33.04.37.321. პირველი ნაკვეთის ფართობი 65 886 მ<sup>2</sup>, ხოლო მეორეს-6138 მ<sup>2</sup>.

ნახაზი N1.



ტერიტორიების საკადასტრო ნახაზი

ნახაზი N2 სიტუაციური გეგმა



### 3. ტექნოლოგიური პროცესის აღწერა

#### 3.1. ფეროშენადნობების წარმოება

ძირითადი საღუმელე საამქრო განთავსებულია 72 მ სიგრძისა და 30 მ სიგანის ლითონკარკასულ შენობაში. საწარმოს წარმადობის გაზრდის შედეგად (105ტ/დღე-სილიკომანგანუმი, 105ტ/დღე ფერომანგანუმი და 72 ტ/დღე ფეროსილიციუმი) მაქსიმალური სიმძლავრით ფუნქციონირების შემთხვევაში, წელიწადში იმ პირობით, რომ საწარმო იმუშავებს მხოლოდ ფეროშენადნობის ერთ სახეობაზე 7920 საათის მუშაობის რეჟიმით, გამოშვებული იქნება 34650 ტონა ფეროსილიკომანგანუმი ან 34650 ტონა ფერომანგანუმი ან 23760 ტონა ფეროსილიციუმის მზა პროდუქცია.

დაგეგმილი წარმადობის მისაღწევად გათვალისწინებულია სამი 8 მვა ღუმელის ფუნქციონირება,

ტექნოლოგიური პროცესისათვის აუცილებელი მასალები შემოიზიდება ავტომობილების მიწვევებით და საწყობდება ღია და დახურულ საწყობებში, საიდანაც ასევე თვითმცლელებით მიეწოდება დახურულ შენობაში განთავსებულ საკაზმე ეზოს, საიდანაც ფრონტალური დამტვირთველის მეშვეობით მიეწოდება მადოზირებელ ბუნკერებში. მანგანუმის კონცენტრატი, კვარციტი და სხვა მასალები მადოზირებელი ბუნკერებიდან ლენტური ტრანსპორტიორით მიედინება 1,5 მ<sup>3</sup> ტევადობის ფოლადის ბადისაკენ, რომლითაც ხიდური ამწეების გამოყენებით მიეწოდება ღუმელებს.

საწარმოში ფუნქციონირებს ბეტონის კვანძი საამშენებლო ბლოკების დასამზადებლად. კვანძის სიმძლავრე ტოლია 3.5 მ<sup>3</sup>/სთ (8 ტ/სთ), რომლის საშუალებით შესაძლებელია საათში 250 ცალი ბლოკის დამზადება, ანუ დღეში 2000 ცალის, წელიწადში 520000 ცალის.

ბეტონის კვანძს ცემენტი მიეწოდება ცემენტის სილოსებიდან, რომელთა ტევადობა შეადგენს 20 ტონის. ცემენტის შემოტანა შესაძლებელია დაფასოვებული ტომრებითაც.

გამწმენდ სისტემაში დაჭერილი მტვერი მიეწოდება ბრიკეტირების დანადგარს, რომლის წარმადობაა 5 ტ/სთ.

საწარმოს შიდა მოხმარებისათვის, სხვადასხვა მეტალის დეტალების დასამზადებლად მოწყობილი აქვს ინდუქციური ღუმელით დნობის საამქრო, სადაც განთავსებულია 0.5 ტ/სთ წარმადობის ინდუქციური ღუმელი. საამქროში ხორციელდება როგორც შავი ლითონის, ასევე ფერადი ლითონის (სპილენძი, ალუმინი) გამოდნობა და მისგან სხვადასხვა ფორმის დეტალების ჩამოსხმა შიდა მოხმარებისათვის. ნედლეულად გამოყენებულია შესაბამისი სახეობების ჯართი.

საწარმოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სასათბურე მეურნეობა (სურათი-12). მისი გათბობა ხდება ფეროშენადნობების ღუმელებიდან გამომავალი ცხელი აირების საშუალებით. ცხელი აირების გამწოვ მილზე დამონტაჟებულია ბოილერი, რომელიც აცხელებს წყალს, გაცხელებული წყლით კი თბება სასათბურე მეურნეობა. საწარმოს ავარიული გაჩერების შემთხვევისათვის ასევე სარეზერვოდ გააჩნია ცხელი წყლის ბოილერი, რომელიც მუშაობდა დიზელის საწვავზე. ამჟამად იგი გადაყვანილია ბუნებრივ აირზე.

დაგეგმილია საწარმოს შიდა მოხმარებისათვის ავტოსამრეცხაოს მოწყობა, რომელშიც გაირეცხება ტერიტორიიდან გასული ავტომანქანების საბურავები და მარა, დღის გამწვანებაში 8 ავტომანქანა.

იგეგმება არსებული დიზელით გასამართი სადგურის ამოქმედება, ასევე შიდა მოხმარებისათვის.

### 3.2. აგლომერატის წარმოება

შპს ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას ნახშირღელის ფეროშენადნობთა ქარხნის ტერიტორიაზე ფუნქციონირებს თვეში 10 000 ტონა წარმადობის აგლომერაციის საამქრო. იგი განთავსებულია ფეროშენადნობთა საამქროს ჩრდილო-აღმოსავლეთით, ე.წ. კოქსის სახარისხებელი უბნის ტერიტორიაზე არსებულ შენობაში. სამრეწველო შენობის მალი შეადგენს 12 მეტრს, სიგრძე 80 მეტრს.

ტექნოლოგიური ხაზი, კაზმის შემრევი დანადგარით დაიწყება შენობის აღმოსავლეთიდან, შერეული კაზმი ჩაიტვირთება ბუნკერში რომლის ქვეშაც ურიკებზე დამონტაჟდება ცეცხლხრიკის ცხაურებიანი მულდები, რომლებიც კაზმით გამართვის შემდეგ 3 მ/წთ სიჩქარით გაივლიან ასანთები მოწყობილობის ქურის ქვეშ და მუდმივად იმომრავებენ დასვლეთის მიმართულებით. შენობის ბოლოს აგლომერაციის პროცესი დასრულდება, პროდუქტი გადაიტვირთება თვითმცლელზე და დასაწყობდება სამსხვრევი უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე. ცხაურების ქვეშ, ხაზის მთელ სიგრძეზე განთავსდება აირგამწოვი სისტემა.

შეცხოვის უბნიდან გამოყოფილი აირი გაიწმინდება სახელოიან ფილტრებში და 42 მეტრი სიმაღლისა და 2200 მმ დიამეტრის სამრეწველო მილის საშუალებით გაიტყორცნება ატმოსფეროში.

გაციების უბნიდან გაწოვილი აირი გაივლის ბატარეულ ციკლონს და არსებული 10 მ დიამეტრის და 40მ სიმაღლის რკინაბეტონის მილით გაიტყორცნება ატმოსფეროში.

### 4. საწარმოს ტერიტორიის განაშენიანება და ინფრასტრუქტურა


მოქმედი სანებართვო პირობების შესაბამისად საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია შემდეგი უბნები და მოწყობილობები.

1. საწარმოო კორპუსი (ღუმელები, კაზმის უბანი, საჩამომსხმელო უბანი, პროდუქციის სამსხვრევ-დამხარისხებელი უბანი)
2. სეპტიკი;
3. აირმტვერგაწმენდის უბანი;
4. ლაბორატორია;
5. სასადილო;
6. ღუმელებისა და ტრანსფორმატორის წყლით გაციების სისტემა;
7. სატრანსფორმატორო;
8. კონცენტრატის საწყობი;
9. ელექტროდული მასის სამსხვრევი;
10. მეორადი წიდის, კირქვისა და კვარციტის სამსხვრევი ხაზი;
11. კირქვის საცრელი კვანძი;
12. დაჭერილი მტვრის განთავსების ტერიტორია;
13. სალექარი;
14. კონცენტრატის საწყობი;
15. კირქვისა და კვარციტის საწყობი;
16. კონცენტრატის საწყობი;
17. მეორადი წიდის საწყობი;
18. დაფასოებული პროდუქციის საწყობი;
19. ქვანახშირის საწყობი;
20. კოქსის საწყობი;
21. სასათბურე მეურნეობის სარეზერვო საქვაბე;
22. წიდის დამუშავების უბანი;

- - 23. ბრიკეტირების უბანი;
- - 24. სამშენებლო ბლოკების მომზადების უბანი;
- - 25. აგლომერაციის საამქრო;
- - 26-27. სასათბურე მეურნეობა;
- - 28. მექანიკური საამქრო;
- - 29. საჩამომსხმო საამქრო 1 მეგვატი სიმძლავრის ინდუქციური ღუმელით.
- - 30. საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა;



ნახაზი N3



## 5. საწარმოში წყლის გამოყენება

წყალი საწარმოში გამოიყენება საწარმოო და სასმელსამეურნეო მიზნებისათვის:

საწარმოში წყალი საჭიროა:

- ღუმელებისა და ტრანსფორმატორების გაგრილებისათვის;
- სამსხვრევ-დამახარისხებელ დანადგარებში მტვერდახშობის მიზნით;
- წიდის გრანულირების უბანში;
- სასათბურე მეურნეობის გათბობის სისტემაში;
- ბლოკის დამზადების უბანზე ბეტონის ნარევის მოსამზადებლად;
- აგლომერაციაში ნედლეულის დასანამად;
- ავტოსამრეცხაოში ავტომობილების გასარეცხად;
- მშრალ ამინდებში ტერიტორიის მოსარწყავად.

სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის გამოიყენება საწარმოს სასმელი წყლის ონკანები, საშხაპებში, სასადილოში და სხვა სათავსოების წყალმომარაგებისათვის.

საწარმო წყალაღებას ახორციელებს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ობიექტიდან. ზედაპირული წყლის აღება ხდება ტერიტორიასთან არსებული უსახელო ღელედან (მდ. ყვირილას აუზიდან), ხოლო სასმელ-სამეურნეო წყლის მიღება ხორციელდება საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ჭაბურღილიდან (X-319807; Y-4675809) რომელზეც 2013 წლის 27 სექტემბერს აღებულია 001310 ლიცენზია.

საწარმოში წყლის გამოყენება საჭიროა ასევე ხანძარქრობის სისტემებისათვის, რისთვისაც საწარმოს გააჩნია სახანძრო უსაფრთხოების წყლის სამარაგო ავზი 100 მ<sup>3</sup>-ის მოცულობის. ხანძარქრობისთვის წყლის გამოყენება შესაძლებელია ტერიტორიის სხვადასხვა უბანზე (სასაწყობე მეურნეობები, ადმინისტრაციულ-საყოფაცხოვრებო სათავსო). სახანძრო მიზნებისათვის გამოყენებული წყლის შეკრება გათვალისწინებულია საწარმოს სანიაღვრე სისტემით.

## 6. საწარმოს ჩამდინარე წყლები

საწარმოს ძირითად ტექნოლოგიურ პროცესში ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება. ღუმელებისა და ტრანსფორმატორების გაგრილების სისტემაში გამოყენებული წყლისათვის მოწყობილია შხეფსაცვივარი და წყალი ჩართულია ბრუნვითი წყალმომარაგების სისტემაში. ბრუნით სისტემაშია ასევე ჩართული სათბურების გათბობის სისტემაში გამოყენებული წყალი. წიდის გრანულაციისა და ბლოკის წარმოებაში გამოყენებული წყალი გადადის მიღებულ პროდუქციაში

საწარმოო პროცესებიდან ჩამდინარე წყალი წარმოიქმნება მხოლოდ ავტოსამრეცხაო უბანზე, ავტოსამრეცხაოდან ჩამდინარე წყალი გამწმენდის გავლის შემდეგ ჩაედინება მდ. ყვირილაში.

საყოფაცხოვრებო-სამეურნეო ჩამდინარე წყლების გაწმენდისათვის მოწყობილია მარტივი ბიოლოგიური გამწმენდი ნაგებობა (სეპტიკი), რომელიდანაც გაწმენდილი წყალი მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული ღელის გავლით ჩაედინება მდ. ყვირილაში.

სანიაღვრე წყლების ორგანიზებული შეკრება უზრუნველყოფილია მხოლოდ ავტოსამრეცხაოს ტერიტორიაზე.

ზემოაღნიშნული სამივე წყაროს გათვალისწინებით, საწარმოს დამუშავებული და სამინისტროსთან შეთანხმებული აქვს ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინა წყლებთან ერთად ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტი.

ამ ეტაპზე სხვა ჩამდინარე წყალი საწარმოს ტერიტორიაზე არ წარმოიქმნება.

კომპანიას დაგეგმილი აქვს, საწარმოს ნედლეულის საცავებისა და შიდა გზების ტერიტორიებზე სანიაღვრე წყალშემკრები სისტემის მოწყობა-რეაბილიტაცია, სანიაღვრე ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის რეკონსტრუქცია.

როგორც გენ-გეგმაზეა აღნიშნული საწარმოს ტერიტორიის 40 % განაშენიანებულია შენობა-ნაგებობებით (ძირითადი საწარმოო კორპუსები, სასაწყობო და დამხმარე ინფრასტრუქტურა), 25-30 % დაკავებულია ნედლეულისა და სხვადასხვა მასალების საცავებით. უკიდურეს დასავლეთ ნაწილში მოწყობილია ავტოსამრეცხაო, დიზელით ავტოგასამართი სადგური, ბიგ-ბეგებში შეფუთული პროდუქციის დროებითი საცავი. აღმოსავლეთ ნაწილში განთავსებულია სასათბურე მეურნეობა.

შენობების სახურავებიდან ატმოსფერული ნალექების წყლების შეკრება ხდება სახურავებზე მოწყობილი ღარებით და როგორც პირობითად სუფთა წყალი გაწმენდის გარეშე ჩაედინება ტერიტორიის აღმოსავლეთით არსებულ ღელეში.

სასათბურე მეურნეობის ტერიტორიაზე, ასევე შეფუთული ტვირთების სასაწყობე ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების შეკრების ორგანიზება საჭირო არ არის.

რაც შეეხება ნედლეულის ღია საცავებისა და შიდა გზების ტერიტორიებზე დაგეგმილია არსებული სანიაღვრე წყალშემკრები სისტემების აღდგენა, საჭიროების შემთხვევაში ახალი წყალშემკრები არხების მოწყობა.

სანიაღვრე წყლები შეიკრიბება საერთო არხებში და მიეწოდება ტერიტორიის ყველაზე დაბალ ნიშნულზე მოწყობილ სანიაღვრე წყლების გამწმენდ ნაგებობას.

წყალშემკრები არხებით შეკრებილი სანიაღვრე ჩამდინარე წყლების მოცულობა იანგარიშება ფორმულით

$$Q=10 \times F \times H \times K$$

სადაც: Q-არი სანიაღვრე წყლების მოცულობა მ<sup>3</sup>/წელი ან მ<sup>3</sup>/დღ.

F - ტერიტორიის ფართობი ჰა-ში, მიღებულია ტერიტორიის ის ნაწილი, რომლის სანიაღვრე წყლები მიერთებულია სალექარზე და მოცემულ შემთხვევაში ტოლია 2,6 ჰა.

H -ნალექების საშუალო წლიური რაოდენობა განსახილველი ტერიტორიისთვის აღება საშუალო მნიშვნელობა (1210 მმ/წელ. 120 მმ/დღ) ცხრილიდან, სამშენებლო კლიმატოლოგიის შესაბამისად.

K- კოეფიციენტი, რომელიც დამოკიდებულია საფარის ტიპზე, მოცემულ შემთხვევაში, ღორღისა და გრუნტის საფარისათვის=0,6.

$$\text{შედეგად მივიღებთ } Q=10 \times 2,6 \times 1210 \times 0,6=18878 \text{ მ}^3/\text{წელ}$$

ნალექების მაქსიმალური სადღეღამისო ინტენსივობა შეადგენს 120 მმ-ს, მაშინ სანიაღვრე წყლების მოცულობა იქნება

$$Q=10 \times 2,6 \times 120 \times 0,6= 1872 \text{ მ}^3/\text{დღ}$$

ამდენად, ტერიტორიაზე ძლიერი წვიმების დროს დღეღამის განმავლობაში შეიძლება წარმოიქმნას მაქსიმუმ 1872 მ<sup>3</sup> რაოდენობის სანიაღვრე წყლები, ხოლო წელიწადში საშუალოდ – 18878 მ<sup>3</sup> რაოდენობის სანიაღვრე წყლები.

სანიაღვრე წყალშემკრები არხების სქემა მოცემულია ნახაზზე N4.



## 7. სანიაღვრე ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა

სანიაღვრე ჩამდინარე წყალი შესაძლებელია დაბინძურებული იქნება ძირითადად შეწონილი ნივთიერებებით. რადგანაც საწარმოს ტერიტორიაზე ხდება ავტოტრანსპორტისა და ტექნიკის გადაადგილება, შესაძლებელია სანიაღვრე წყლებში ასევე დაბინძურებული იყოს ნავთობპროდუქტებით.

მოსალოდნელი დაბინძურებისა და რაოდენობის გათვალისწინებით მოეწყობა სანიაღვრე წყლების გამწმენდი ნაგებობა.

რადგან სანიაღვრე წყლის მაქსიმალური მოცულობა შეადგენს 1872 მ<sup>3</sup>-ს, ჩამდინარე წყლის საათური ხარჯი იქნება  $(Q/T) \times k = (1872 / 24) \times 3,5 = 273 \text{ მ}^3/\text{სთ}$

სადაც Q – სანიაღვრე ჩამდინარე წყლის საერთო რაოდენობაა;

T - სანიაღვრე წყლის წარმოქმნის დრო (ერთი დღე-ღამე);

k- ჩამდინარე წყლების მოდინების უთანაბრობის კოეფიციენტი (მოცემულ შემთხვევაში =3,5).

იმის გათვალისწინებით, რომ ჩამდინარე წყლები ძირითადად დაბინძურებული იქნება შეწონილი ნაწილაკებით, ქვიშისა და მადნეული მასალების მცირე ზომის ნაწილაკებით, საჭიროა მექანიკური გამწმენდი ნაგებობის მოწყობა. ამასთან ავტოტექნიკის გადაადგილების დროს საწარმოს ტერიტორიაზე შეიძლება დაიღვაროს ნავთობპროდუქტები. ამის გათვალისწინებით გათვალისწინებულია მარტივი ნავთობდამჭერის მოწყობა.

დაგეგმილია ორ განყოფილებიანი გამწმენდის მოწყობა, პირველი განყოფილებაში მოხდება ნავთობპროდუქტებისა და მსხვილი შეწონილი ნაწილაკების მოცილება, მეორე განყოფილებაში შეწონილი ნაწილაკების დალექვა.

გამწმენდის გაანგარიშება მოხდა ჩამდინარე წყლის მოსალოდნელი ხარჯის შესაბამისად (მაქსიმალური საათური).


პირველი განყოფილების ზომები იქნება: სიგრძე-12 მ. სიგანე 4-მ, სიღრმე 3 მ. მოცულობა 144 მ<sup>3</sup>.

მეორე განყოფილების ზომები იქნება სიგრძე 30 მ. სიგანე 5 მ. სიღრმე 3 მ. მოცულობა 450 მ<sup>3</sup>.

საღებარის გეგმა და წყლის გაწმენდის სქემა მოცემულია ნახაზებზე N5 და N 6.


ნახაზი N5

სანიაღვრე წყლების სალექქარის გეგმა



ნახაზი N6

წყლის გაწმენდის სქემა



## 8. სანიაღვრე ჩამდინარე წყლების ჩაშვება

სანიაღვრე წყლების ჩაშვება მოხდება მდ. ყვირილაში, ტერიტორიასთან არსებული ხევის (უსახელო დელე) გავლით.


დელე მიედინება საწარმოს სამხრეთით, განთავსებული E-60 საავტომობილო გზის ქვეშ მოწყობილი წყალგამტარის გავლით.

საწარმოს სანიაღვრე წყლები მიყვანილი იქნება გზის ქვეშ მოწყობილ წყალგამტარამდე მილით.

სანიაღვრე წყლების ჩაშვების სქემა და კოორდინატი მოცემულია ნახაზზე N7.



ნახაზი N7



მდ.ყვირილაში ჩაშვების წერტილი  
X-318729; Y-4675008

## 9. ფეროშენადნობთა ქარხნის ტერიტორიაზე სანიაღვრე წყლების შემკრები არხებისა და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაციით გარემოზე შესაძლო ზემოქმედება

სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემისა და გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაციით გარემოს ცალკეულ კომპონენტებზე უარყოფითი ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის. აღნიშნულმა ზემოქმედებამ შესაძლებელია მოახდინოს მხოლოდ ზედაპირული წყილს ხარისხზე, რომელიც იქნება დადებითი.

### 9.1. ზემოქმედება ატმოსფერულ ჰაერზე.

სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემისა და სანიაღვრე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა-ექსპლუატაცია ატმოსფერული ჰაერის ხარისხზე ვერ მოახდენს შესამჩნევ ზემოქმედებას.

მოწყობის პროცესი დაკავშირებული იქნება მცირე წარმადობის ტექნიკის გამოყენებასთან, რაც მოცემული საწარმოს ტერიტორიისათვის იქნება შეუმჩნეველი, რადგან საწარმოს ტერიტორიაზე მუდმივად გადაადგილდება მძიმე ტექნიკა, ნედლეულის მიღება-დასაწყობება-მიწოდების სამუშაოების გამო. მუშაობს ნედლეულის მსხვრევა-დახარისხების ხაზი.

რაც შეეხება ექსპლუატაციას, სანიაღვრე წყლების შემკრები არხები და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობა არ წარმოადგენს ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების წყაროს.

### 9.2. ხმაურის ზემოქმედება

სანიაღვრე წყალშემკრები არხებისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობის პროცესი დაკავშირებული იქნება ხმაურის წარმოქმნასთან, თუმცა ხმაურის წარმოქმნა და გავრცელება ვერ მოახდენს არსებულ ფონზე რაიმე გავლენას, რადგან გამოყენებული იქნება მცირე წარმადობის ტექნიკა, რომელთა საპასპორტო მონაცემებით, მათ მიერ წარმოქმნილი ხმაური არ აღემატება საწარმოში გამოყენებული ტექნიკის ხმაურის მაქსიმალურ დონეებს.

რაც შეეხება სანიაღვრე სისტემებისა და გამწმენდი ნაგებობის ექსპლუატაციის პროცესში არ ხდება ხმაურის წარმოქმნა.

### 9.3. ზემოქმედება ნიადაგის და გრუნტის ხარისხზე

შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს კუთვნილი ფეროშენადნობთა საწარმო განთავსებულია არასასოფლო სამეურნეო დანიშნულების ორ ნაკვეთზე, რომელიც გასული საუკუნის 50-იანი წლებიდან განიცდიდა ნალალ ტექნოგენურ დატვირთვას. ტერიტორიაზე ნიადაგის ნაყოფიერი ფენა პრაქტიკულად არ არსებობს, საწარმოს მთელი ტერიტორია დაფარულია მყარი საფარით, ან ღორღის ფენით.

ამასთან, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოსაწყობად არ ხდება ახალი ტერიტორიის გამოყენება. ნაგებობის განთავსება დაგეგმილია ძველი აირგამწმენდი (სველი) ნაგებობის

უფუნქციო სალექარის ადგილზე, მოხდება მისი აღდგენა და საჭირო განყოფილებების დამატება.

ზემოაღნიშნულის გამო ნიადაგზე უარყოფითი ზემოქმედება გამოირიცხულია, რაც შეეხება გრუნტის ხარისხს, დღემდე ტერიტორიაზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლები ჩაიჭონება გრუნტში, სანიაღვრე შემკრებისა და გამწმენდის მოწყობის შემდეგ, მოხდება წვიმის წყლის ორგანიზებული შეკრება და ტერიტორიიდან გაყვანა, რაც დადებითად იმოქმედებს გრუნტის ხარისხზე.

#### **9.4. ზემოქმედება ზედაპირულ წყლებზე**

სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდის მოწყობითა და ექსპლუატაციით ზედაპირულ წყლებზე ზემოქმედება იქნება დადებითი, რადგან სანიაღვრე წყლები ზედაპირული წყლის ობიექტში ჩავა გაწმენდის შემდეგ, ორგანიზებულად.

როგორც მე-7 და მე-8 თავებშია აღწერილი, ჩამდინარე წყლები შესაძლებელია დაბინძურებული იყოს შეწონილი ნივთიერებებით, ასევე მოძრავი ტექნიკიდან ტერიტორიაზე შემთხვევით დაღვრილი ნავთობპროდუქტებით. სანიაღვრე წყლების შეკრება, გაწმენდა და ტერიტორიიდან ორგანიზებული გაყვანა შეამცირებს ზედაპირული წყლის ობიექტის დაბინძურების რისკს.

#### **9.5. ნარჩენებით გარემოს დაბინძურების რისკები**

სანიაღვრე და გამწმენდი სისტემის მოწყობით მოსალოდნელია მცირე რაოდენობის შემდეგი ნარჩენის წარმოქმნა: 1). სალექარში გადროვილი შლამი, რომელიც მისი შემადგენლობის მიხედვით იქნება არასახიფათო და 2) ნავთობიანი წყალი - სახიფათო ნარჩენი, რომელიც წარმოიქმნება ნავთობდამჭერში. სხვა ნარჩენის წარმოქმნა მოსალოდნელი არ არის.

ასეთი ტიპის ნარჩენების მართვა გათვალისწინებულია კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმით, გზ-ს ანგარიშისა და კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის თანახმად, ნავთობპროდუქტებით დაბინძურებული წყლის გადასაცემად კომპანიას გაფორმებული აქვს ხელშეკრულება სათანადო ნებართვის მქონე ორგანიზაციასთან.

#### **9.6. ზემოქმედება ბუნებრივ ლანდშაფტსა და ბიოლოგიურ გარემოზე**

საწარმოს შიდა ტერიტორიაზე სანიაღვრე და გამწმენდი სისტემის მოწყობა ვერ იქონიებს რაიმე გავლენას ბუნებრივ ლანდშაფტსა და ბიოლოგიურ გარემოზე.

#### **9.7. ზემოქმედება დაცულ ტერიტორიებზე**

დაცულ ტერიტორიამდე დაცილების დიდი მანძილისა და დაგეგმილი პროექტის მცირე

მოცულობის გამო, სანიაღვრე წყლების შემკრები სისტემისა და ჩამდინარე წყლების გამწმენდის მოწყობით დაცულ ტერიტორიებზე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

#### **9.8. ზემოქმედება კულტურული მემკვიდრეობის ძეგლებზე**

საწარმოს გავლენის ზონაში რაიმე კულტურული მემკვიდრეობის ძეგლები არ არსებობს და აქედან გამომდინარე მათზე რაიმე ნეგატიური ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

#### **9.9. ზემოქმედება სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე**

დაგეგმილი პროექტით არ იცვლება საწარმოს მუშაობის პარამეტრები, სანიაღვრე სისტემის და გამწმენდის მოწყობა არ აისახება არცერთი საამქროს მუშაობის რეჟიმზე, მიღებულ პროდუქციასა და გამოყენებულ რესურსზე. ამდენად სოციალურ-ეკონომიკურ გარემოზე რაიმე ზემოქმედება მოსალოდნელი არ არის.

10. დასასრულად

10.1. დანართი 1. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება

ს ა ქ ა რ თ ე ე ლ ო



გარემოს დაცვისა და  
სოფლის მეურნეობის  
საინჟინტრო

N 6189/01  
19/06/2019

6189-01-2-201906191252



თერჯოლის მუნიციპალიტეტის მერიას  
შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“  
მის: თერჯოლის რ-ნი 2413 სოფ. ნახშირღელე

სსდ გარემოსდაცვითი ზედამხედველობის დეპარტამენტს

გიგზავნით თერჯოლის მუნიციპალიტეტში, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასა და აგლომერაციის უბნის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 17 ივნისის №2-552 ბრძანებას.

გთხოვთ, უზრუნველყოთ აღნიშნული ბრძანების მუნიციპალიტეტის საინფორმაციო დაფაზე განთავსება.

დანართი: 8 (რვა) ფურცელი

ნინო თანდალაშვილი

მინისტრის მოადგილე





საქართველოს გაკვეთილს და სოფლის მეურნეობის მინისტრი

ბრძანება N 2-552

17/06/2019

ქ. თბილისი

**შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასა და აგლომერაციის უბნის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების შესახებ**

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების მიღების მიზნით შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილია თერჯოლის მუნიციპალიტეტში ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებისა და აგლომერაციის უბნის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიში და კანონით გათვალისწინებული თანდართული დოკუმენტაცია, რაზეც სამინისტრომ უზრუნველყო საექსპერტო კომისიის შექმნა და აღნიშნულის სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და შესაბამისი მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ორგანოს საინფორმაციო დაფაზე განთავსება.

შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ მიერ წარმოდგენილ ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების შეცვლისა და აგლომერაციის უბნის მოწყობისა და ექსპლუატაციის პროექტის სკოპინგის ანგარიშზე სკოპინგის პროცედურის შედეგად განსაზღვრული და დადგენილი იქნა გზმ-ის ანგარიშის მომზადებისათვის საჭირო კვლევების, მოსაპოვებელი და შესასწავლი ინფორმაციის ჩამონათვალი, გზმ-ს პროცესში დეტალურად შესასწავლი საკითხები და გაიცა სკოპინგის დასკვნა (#3;12.04.2018წ).

წარმოდგენილი დოკუმენტაციით დგინდება შემდეგი, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ ფეროშენადნობების საწარმოს მიღებული აქვს გარემოზე ზემოქმედების ნებართვა 2013 წლის 17 მაისის №19 ეკოლოგიური ექსპერტიზის დასკვნის საფუძველზე (მინისტრის 2013 წლის 24 მაისის №ი-29 ბრძანება).

წარმოდგენილი გზმ-ის ანგარიშით საქმიანობა ითვალისწინებს შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს ფეროშენადნობების (ფეროსილიკომანგანუმი, ფერომანგანუმი და ფეროსილიციუმი) ქარხნის ექსპლუატაციის პარამეტრების (წარმადობის გაზრდის) შეცვლას და აგლომერაციის საამქროს მოწყობას.

საწარმო განთავსებულია თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფ. ნახშირღელეში, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს კუთვნილ არასასოფლო-სამეურნეო დანიშნულების ორ ნაკვეთზე (ნაკვეთის კოდი 33.04.37.327 და 33.04.37.321 პირველი ნაკვეთის ფართობია 65 886 მ<sup>2</sup>, ხოლო მეორეს-6138 მ<sup>2</sup>). უახლოესი მდინარეა ყვირილა, რომელიც საწარმოდან დაშორებულია 490 მ-ით, უახლოესი მოსახლე დაშორებულია 530 მ-ით.

საწარმოში ფუნქციონირებდა სამი 5 მგვტ და ორი 8 მგვტ სიმძლავრის ელექტრორკალური ლუმელები, აღნიშნული სადნობი ლუმელის ფუნქციონირება (მონაცვლეობით) სხვადასხვა სახის ფეროშენადნობების კრძოდ, ფეროსილიკომანგანუმის, ფერომანგანუმის და ფეროსილიციუმის წარმოების საშუალებას იძლევა.

ხუთივე ელექტროკალური ღუმელის ერთდროულად მუშაობისას საწარმოს ჯამური წარმადობა შეადგენდა: ფეროსილიკომანგანუმისა და ფერომანგანუმისათვის – 86 ტ/დღე-ღამეში (28380 ტ/წელ); ფეროსილიციუმისათვის - 54 ტ/დღე-ღამეში (17820 ტ/წელ).

საწარმოში დაგეგმილია წარმადობის გაზრდა, კერძოდ, შპს „კიათურმანგანუმ ჯორჯია“-ს მიერ გადაწყვეტილება იქნა მიღებული სამი 5 მეგავატიანი ღუმელის ერთი 8 მგე-იანიო ჩანაცვლების თაობაზე. შესაბამისად ფერომენადნობთა საწარმოში გათვალისწინებულია სამი 8 მგეტ სიმძლავრის ღუმელის ფუნქციონირება. დღე-ღამეში წარმოებული იქნება 105 ტ ფეროსილიკომანგანუმი ან 105 ტ ფერომანგანუმი ან 72 ტ ფეროსილიციუმი. საწარმოს წარმადობის გაზრდის შედეგად (105 ტ/დღე-სილიკომანგანუმი, 105 ტ/დღე ფერომანგანუმი და 72 ტ/დღე ფეროსილიციუმი) მაქსიმალური სიმძლავრით ფუნქციონირების შემთხვევაში, წელიწადში იმ პირობით, რომ საწარმო იმუშავებს მხოლოდ ფერომენადნობის ერთ სახეობაზე (სამუშაო რეჟიმი 330 დღე, 7920 საათი), გამოშვებული იქნება 34650 ტონა ფეროსილიკომანგანუმი, ასევე 34650 ტონა ფერომანგანუმი, ხოლო ფეროსილიციუმი 23760 ტონა. გარდა ამისა ფერომენადნობების საწარმოში დაგეგმილია აგლომერაციის საამქროს მოწყობა.

საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულია შემდეგი უბნები და მოწყობილობები: საწარმოო კორპუსი (ღუმელები, კაზმის უბანი, საჩამოსხმელო უბანი, პროდუქციის სამსხვრევ-დამზარისხებელი უბანი); სეპტიკი; აირმტკვრგაწმენდის უბანი; ლაბორატორია; სასადილო; ღუმელებისა და ტრანსფორმატორის წყლით გაციების სისტემა; სატრანსფორმატორო; კონცენტრატის საწყობი; ელექტროდული მასის სამსხვრევი; მეორადი წიდის, კირქვისა და კვარციტის სამსხვრევი ხაზი; კირქვის საცრელი კვანძი; დაჭერილი მტვრის განთავსების ტერიტორია; სალქარი; კონცენტრატის საწყობი; კირქვისა და კვარციტის საწყობი; კონცენტრატის საწყობი; მეორადი წიდის საწყობი; დაფასოებული პროდუქციის საწყობი; ქვანახშირის საწყობი; კოქსის საწყობი; სასაბურე მეურნეობის სარეზერვო საქება; წიდის დაშუშვების უბანი; ბრიკეტირების უბანი; სამშენებლო ბლოკების მომზადების უბანი; არსებული ლითონის კონსტრუქციის შენობა; 26-სასაბურე მეურნეობა, მექანიკური საამქრო, საჩამოსხმელო საამქრო I მეგავატი სიმძლავრის ინდუქციური ღუმელით, საყოფაცხოვრებო დანიშნულების შენობა;

ძირითადი საამქრო, სადაც განთავსებულია ელექტროკალური ღუმელები წარმოადგენს 72 მ სიგრძისა და 30 მ სიგანის ლითონკარკასულ შენობას. ღუმელებში ნედლეულის მიწოდება ხდება ექვსი მადოზირებელი ბუნკერებიდან. მათში ნედლეული იყრება დამტვრითველით. ნედლეული განთავსებულია ერთ დახურულ და ორ ღია საწყობში. სხვადასხვა სახეობის ფერომენადნობების - ფეროსილიკომანგანუმის, ფერომანგანუმის და ფეროსილიციუმის წარმოებისათვის საჭირო ნედლეულია: მანგანუმის კონცენტრატი, კვარციტი, კოქსი, რკინის მურბუმელა, კირქვა ან დოლომიტი, ხის ნახშირი. ღუმელში ფერომენადნობების წარმოება მიმდინარეობს 1500-1600°C ტემპერატურის ფარგლებში. ღუმელიდან გამოშვებული დნობის პროდუქტები ჩამოსხმება ციხეში. თხევადი პროდუქციის ჩამოსხმა ხდება სპეციალური კონსტრუქციის ბრტყელ თუჯის მულდებში, რომლიდანაც ამოღებული ფერომენადნობები გადაიან დახარისხებას და მომზარებისადმი გასაგზავნად მომზადებას. საწარმოში წიდის გადაზიდვა წიდის დასაწყობების ტერიტორიაზე ხორცილდება ავტომანქანებისა და ავტომტვირთავის საშუალებით.

ტერიტორიაზე განთავსებულია კირქვისა და კვარციტის ვიბროსაცერი, რომლის წარმადობა 8 სთ-ში შეადგენს 70 მ<sup>3</sup>. ტერიტორიის სამხრეთ-აღმოსავლეთ ნაწილში განთავსებულია მეორადი წიდის საწყობი და სამსხვრევი ხაზი ყბებიანი და კონუსური სამსხვრეველებით. პირველადი და მეორადი მსხვრევა უზრუნველყოფს ნედლეულის იმ ფრაქციამდე დამსხვრევას, რომელიც საჭიროა ფერომენადნობებისათვის. დამსხვრეული მასალა ლენტური ტრანსპორტიორით იყრება ბუნკერში, რომლიდანაც იტვირთება ავტომანქანაზე და მიეწოდება საკაზმე უბანს მსხვრევას ექვემდებარება მანგანუმის



შემცველი წიდა, კვარციტი და კირქვა. ატმოსფეროში გაფრქვეული მტკრის შემცირების მიზნით ხდება წყლის დასხურება, რომელიც უზრუნველყოფს მტკრის გაფრქვევის შემცირებას მინიმუმ 0.1 კოეფიციენტით.

საწარმოში ასევე ფუნქციონირებს ბეტონის კვანძი სამშენებლო ბლოკების დასამზადებლად. კვანძის სიმძლავრეა 3,5 მმ/სთ (8 ტ/სთ), რომლის საშუალებით შესაძლებელია საათში 250 ცალი, დღეში 2000 ცალი, ხოლო წელიწადში 520 000 ცალი ბლოკის დამზადება. ბეტონის კვანძს ცემენტი მიეწოდება ცემენტის სილოსებიდან, რომელთა ტევადობა იქნება 20 ტონა. გამწმენდ სისტემაში დაქვრილი მტკერი მიეწოდება ბრიკეტების დანადგარს, რომლის წარმადობაა 5 ტ/სთ.

საწარმოს შიდა მოხმარების დეტალების დამზადებისათვის გააჩნია მექანიკური საამქრო, სადაც განთავსებულია სხვადასხვა სახეობის და რაოდენობის ჩარხები. საწარმოში მოწყობილია დნობის საამქრო, სადაც განთავსებულია 0.5 ტ/სთ წარმადობის ინდუქციური ღუმელი, როგორც შავი ლითონის, ასევე ფერადი ლითონის (სპილენძი, ალუმინი) გამოდნობისა და მისგან სხვადასხვა ფორმის დეტალების ჩამოსხმისათვის. ნედლეულად გამოყენებულია შესაბამისი სახეობების ჯართი. საწარმოს ტერიტორიაზე ფუნქციონირებს სასათბურე მეურნეობა. მისი გათბობა ხორციელდება ფეროშენადნობების ღუმელებიდან გამოშვებული ცხელი აირების საშუალებით.

საამქროს ჩრდილო-აღმოსავლეთით, ე. წ. კოქსის სახარისხებელი უბნის ტერიტორიაზე არსებულ შენობაში განთავსდება თვეში 10000 ტონა წარმადობის აგლომერაციის საამქრო. ტექნოლოგიური ხაზი იწყება შენობის აღმოსავლეთიდან კაზმის შემრევი დანადგარით. შერეული კაზმი ჩაიტვირთება ბუნკერში რომლის ქვეშ დამონტაჟდება ცეცხლბრიკის ცხურებიანი მულდები, რომლებიც კაზმით გამართვის შემდეგ 3 მ/წთ სიჩქარით გაივლიან ასანთები მოწყობილობის ქურის ქვეშ და მუდმივად იმოძრავენ. შენობის ბოლოს აგლომერაციის პროცესი დასრულდება, პროდუქტი გადაიტვირთება თვითმცლელზე და დასაწობდება სამსხვრეი უბნის მიმდებარე ტერიტორიაზე. აგლომერაციის არსი მდგომარეობს იმაში, რომ 1000-1200°C ტემპერატურაზე კონკრეტატში შემავალი ფუჭი ქანები დნება და იწვევს მანგანუმის ორგანულიან ოქსიდამდე აღდგენილი მასის შექმნას. აგლომერაციის პროცესი ძირითადად ხორციელდება ცეცხლბრიკის ცხურაზე კაზმის ფენებს შორის ცხელი ჰაერის გაწოვით.

საწარმოს დაგეგმილი აქვს წარმოების შედეგად წარმოქმნილი წიდების გაშიდრება მტკერდამქერში დაქვრილი მტკრით, რაც მნიშვნელოვნად გაზრდის წიდების ფეროშენადნობის წარმოებაში გამოყენების რაოდენობრივ მაჩვენებელს და შეამცირებს წარმოქმნილი ნარჩენების რაოდენობას.

მტკერდამქერიდან მიღებულ მტკრის დატენიანებთ (10%-ით), მტკერი სველი სახით თხევად წიდასთან ურთიერთქმედებისას, მთლიანად წარიტაცება წიდის კრისტალების გაფუჭების პროცესში მონაწილე აირებით. შეერევა წიდას და კრისტალდება მასთან ერთად მიღებული წიდისა და მტკრის ნარევი, რომელშიც სილიციუმის დიოქსიდის შემცველობა 50-60%-ა, ხოლო მანგანუმის 12-17% (მიღებული ნარევის ტიმიური ანალიზის შედეგი). იმსხვრევა და გამოიყენება სილიკომანგანუმის კვლავწარმოებისათვის. შესაბამისად ხდება მტკრის სრული და წიდის ნაწილობრივი (80-85%) გაუვნებლობა.

საწარმოში განხორციელებული ტექნოლოგიური ცვლილებები არ საჭიროებს ახალი შენობა-ნაგებობების აშენებას. მესამე (8 მგვ-იანი) ღუმელი იფუნქციონირებს არსებულ ძირითად სალუმელე საამქროში, 5 მგვ-იანი ღუმელის ადგილზე. აგლომერაციის ხაზის განთავსება მოხდება არსებულ ლითონის კონსტრუქციის შენობაში. შენობის სამხრეთით განთავსდება აგლომერაციის უბნიდან გამოყოფილი აირმტკერნარევის გაწმენდის სისტემა. გაფრქვევა გათვალისწინებულია ძველი საკვამლე მიღებიდან. საწარმოს ტერიტორიაზე მოეწყობა ავტოსამრეცხაო, ტერიტორიიდან გასული სატვირთო

ავტომობილების ძარისა და საბურავების გასარეცხად. ამოქმედდება არსებული დიზელის ერთსვეტიანი ავტოგასამართი სადგური შიდა ტრანსპორტის საწვავით უზრუნველყოფისათვის.

წყალი საწარმოში გამოიყენება საწარმოო და სასმელ-სამეურნეო მიზნებისათვის. საწარმოო წყალი გამოიყენება: ღუმელებისა და ტრანსფორმატორების გაგრილებისათვის; სამსხვრევ-დამახარისხებელ დანადგარებში მტვერდახშობის მიზნით; წიდის გრანულირების უბანში; სასათბურე მეურნეობის გათბობის სისტემაში; ბლოკის დამზადების უბანზე ბეტონის ნარევის მოსამზადებლად; აგლომერაციაში წედლეულის დასანამად; ავტოსამრეცხაოში ავტომობილების გასარეცხად; მშრალ ამინდებში ტერიტორიის მოსარწყავად. საწარმო წყალდებას ახორციელებს ზედაპირული და მიწისქვეშა წყლის ობიექტიდან. ზედაპირული წყლის აღება ხდება ტერიტორიასთან არსებული უსახელო ღელედან (მდ. ყვირილას აუზიდან), ხოლო სასმელ-სამეურნეო წყლის მიღება ხორციელდება საწარმოს მიმდებარე ტერიტორიაზე არსებული კაპურდილიდან.

საწარმოს ძირითად ტექნოლოგიურ პროცესში ჩამდინარე წყლები არ წარმოიქმნება. ღუმელებისა და ტრანსფორმატორების გაგრილების სისტემაში გამოყენებული წყლისათვის მოწყობილია შეფხსავივარი და წყალი ჩართულია ზრუნვითი წყალმომარაგების სისტემაში. ზრუნვით სისტემაშია ასევე ჩართული სათბურების გათბობის სისტემაში გამოყენებული წყალი. წიდის გრანულაციისა და ბლოკის წარმოებაში გამოყენებული წყალი გადადის მიღებულ პროდუქტში.

საწარმოს ავტოგასამართის და ავტოსამრეცხაოს ტერიტორიებთან გათვალისწინებულია მექანიკური ტიპის გამწმენდი ნაგებობების, ნავთობდამჭერების მოწყობა. ავტოგასამართთან დაგეგმილია 0,5 მ<sup>3</sup> /სთ წარმადობის ნავთობდამჭერი, რომელიც შედგება ნავთობდამჭერისა და სალუქარისაგან. ავტოსამრეცხაოს ტერიტორიაზე დაგეგმილია 1მ<sup>3</sup> /სთ წარმადობის გამწმენდი ნაგებობის მოწყობა. გამწმენდი უზრუნველყოფს ჩამდინარე წყლების გაწმენდას შეწონილი ნივთიერებებისა და ნავთობპროდუქტებისაგან.

საწარმოში წარმოქმნილი საყოფაცხოვრებო ჩამდინარე წყლები მიერთებული იქნება არსებულ ბიოლოგიურ გამწმენდ ნაგებობაზე, სეპტიკზე. წყალი სეპტიკში იწმინდება ხანგრძლივად, ერთი დღიდან ოთხ დღემდე. სეპტიკი წყლის გაწმენდის მაღალ ეფექტს იძლევა.

გაწმენდის შემდეგ ჩამდინარე წყლების ჩაშვება ხდება უსახელო ღელეში, რომელიც ერთვის მდ. ყვირილას. გზმ-ის ანგარიშს თან ახლავს ზედაპირული წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთდ ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა "ზღვრულად დასაშვები ჩაშვების ნორმების პროექტი.

ფეკალური ჩამდინარე წყლებისათვის გათვალისწინებულია საასენიზაციო ორმო. ორმოში შეგროვილი მასა პერიოდულად გაიტანება ხელშეკრულების შესაბამისად.

გზმ-ს ანგარიშის თანახმად ხმაურის გავრცელების გაანგარიშება შესრულდა შესაბამისი მეთოდური და ნორმატიული დოკუმენტების გამოყენებით. გაანგარიშების პროცესში გათვალისწინებული იქნა საპროექტო არეალში ხმაურის გავრცელების წყაროების არსებობა და განისაზღვრა საანგარიშო წერტილებში მოსალოდნელი ცვლილებები. როგორც გზმ-ს ანგარიშშია აღნიშნული, ტერიტორიაზე ხმაურის ყველაზე მნიშვნელოვანი წყაროა ყბებიანი მსხვრევაწა და ვიბროცხავი. გაანგარიშების საფუძველზე მიღებული შედეგებით საქმიანობის განხორციელების პროცესში ხმაურის დონე უახლოესი საცხოვრებელ სახლთან დასაშვებ ნორმაზე დაბალია.

საწარმოს ფუნქციონირების დროს წარმოიქმნება სახიფათო და არასახიფათო ნარჩენები. არასახიფათო ნარჩენები შეგროვდება საწარმოს ტერიტორიაზე განთავსებულ, სპეციალურ კონტეინერში და შემდგომ გატანილი იქნება მუნიციპალურ სამსახურთან გაფორმებული ხელშეკრულების საფუძველზე. სახიფათო ნარჩენების დროებითი

განთავსებისთვის საწარმოში მოეწყობა შესაბამისი სათავსო. დაგროვების შესაბამისად სასიფათო ნარჩენები შემდგომი მართვის მიზნით გადაეცემა შესაბამისი ნებართვის მქონე ორგანიზაციას.

გზს-ს ანგარიშში აღნიშნულია, რომ საწარმოში განხორციელდა არსებული გაშვებული სისტემის შეცვლა უფრო ეფექტიანი, მშრალი მტვერდამჭერი სისტემით (ორი ხაზი), რომლის თითოეული ხაზი შედგება აირმიმღებებისაგან, ციკლონისაგან, სახელოიანი ქსოვილოვანი ფილტრისაგან, კვამლგამწოვისაგან და 30 მ სიმაღლის მილისაგან. ღუმელიდან გაწოვილი ჰაერი ხედება ციკლონში, რომელიც იმავდროულად ასრულებს ნაპერწკლის ჩაქრობის ფუნქციას. ციკლონის ეფექტურობა 50-70%-ია. ციკლონებიდან გამოსული ნაწილობრივ გაშვებული აირები ხედება ქსოვილოვან სახელოიან ფილტრებში, რომლის ეფექტურობა 97%-მდეა. ფილტრებამდე დამონტაჟებულია შეშოვი დროსელები ჰაერის ნაკადის ტემპერატურის შესამცირებლად.

გზს-ს ანგარიშში ასახულია საწარმოს ფუნქციონირებით გამოწვეული ზემოქმედება ატმოსფერული ჰაერის სარისხზე. იდენტიფიცირებულია საწარმოს მავნე ნივთიერებათა გამოყოფის და გაფრქვევის წყაროები, ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებების შემადგენლობა, მათი რაოდენობრივი მაჩვენებლები და გაფრქვევის სხვა პარამეტრები. საწარმოს ექსპლუატაციისას ატმოსფერულ ჰაერში გაიფრქვევა შემდეგი მავნე ნივთიერებები: არაორგანული მტვერი, ალუმინის ოქსიდი, კალციუმის ოქსიდი, მაგნიუმის ოქსიდი, მანგანუმის დიოქსიდი, სილიციუმის დიოქსიდი, აზოტის დიოქსიდი. მავნე ნივთიერებათა გაბნევის ანგარიშის თანახმად, ობიექტის ექსპლუატაციის შედეგად ატმოსფერულ ჰაერში გაფრქვეული მავნე ნივთიერებები არ აჭარბებს ნორმით დადგენილ დასაშვებ მნიშვნელობას საწარმოდან უახლოეს დასახლებულ პუნქტთან მიმართებით (530მ). შესაბამისად, მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის მაღეული რაოდენობები კვალიფიცირდება ზღვრულად დასაშვებ გაფრქვევად.

წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშს თან ახლავს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი.

ბიომრავალფეროვნების მხრივ საკვლევი ტერიტორია ღარიბია მცენარეული საფარისაგან და შესაბამისად მასზე რაიმე სახის ზემოქმედება არაა მოსალოდნელი.

გზს-ს ანგარიშს თან ერთვის საქმიანობის გარემოსდაცვითი მენეჯმენტის და მონიტორინგის გეგმა, გარემოზე მოსალოდნელი ნეგატიური ზემოქმედებების შემარბილებელი ღონისძიებები, ავარიული სიტუაციების რეაგირების გეგმა, დასკვნები და რეკომენდაციები.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე, 2019 წლის 7 თებერვალს თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ნახშირლელეს ადმინისტრაციული ერთეულის შენობაში მოეწყო აღნიშნული პროექტის საჯარო განხილვა, რომელსაც ესწრებოდნენ გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს, შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“, ააიპ „შწვანე ალტერნატივას“ წარმომადგენლები და მოსახლეობა. საჯარო განხილვაზე გაიმართა დისკუსია ისეთ საკითხებზე, როგორცაა ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევა, სუნის და ხმაური.

ექსპერტის ეტაპზე წარმოდგენილ გარემოზე ზემოქმედების ანგარიშს თან ახლავს ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტი. ამასთან საწარმოს ჩრდილოეთით, საწარმოს ტერიტორიაზე არსებული ატმოსფერული ჰაერის დაბინძურების ყველაზე მნიშვნელოვანი სამი წყაროდან (გზს-ს ანგარიშში მოცემული გ-1, გ-45 და გ-46) უმოკლესი მანძილი საცხოვრებელ სახლამდე შეადგენს 530 მ-ს (წყარო გ-45). ამის გათვალისწინებით ჰაერის სარისხის მოდელირება შესრულდა 500 მეტრიანი ზონის საკონტროლო წერტილების

მიმართ. გაანგარიშების შედეგების ანალიზით ირკვევა, რომ საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში, 500 მეტრიან ზოლში ატმოსფერული ჰაერის დაზინძურების ხარისხი არ აჭარბებს კანონმდებლობით გათვალისწინებულ ნორმებს. ამასთან საქმიანობის განმახორციელებელს ვალდებულებად განესაზღვრა ატმოსფერულ ჰაერზე მონიტორინგის განხორციელება უახლოეს მოსახლესთან. რაც შეეხება ხმაურის გადაჭარბებას, გზშ-ის ანგარიშში წარმოდგენილი გაანგარიშებების შედეგების თანახმად, საქმიანობის განხორციელების პროცესში უახლოესი საცხოვრებელ სახლთან ხმაურის დონე დასაშვებ ნორმაზე დაბალია. გარდა ამისა, საქმიანობის განმახორციელებელს ვალდებულებად განესაზღვრა უახლოეს მოსახლესთან ხმაურის მონიტორინგის განხორციელება და საჭიროების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა.

გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის მიზნით სამინისტროში დაწყებული ადმინისტრაციული წარმოების ეტაპზე საზოგადოების მხრიდან (აიპ "შწვანე ალტერნატივა" მიერ) წარმოდგენილი იყო შენიშვნები და კომენტარები საქმიანობასთან დაკავშირებით. აღნიშნული შენიშვნები განხილულ იქნა სამინისტროს მიერ, რის შედეგადაც არგუმენტირებული მოსაზრებები გათვალისწინებული იქნა წარმოების პროცესში და აისახა შესასრულებლად სავალდებულო პირობების სახით, ხოლო ის შენიშვნები რომელთა გათვალისწინებაც არ მოხდა ცხრილის სახით შესაბამისი დასაბუთებით თან ერთვის გარემოსდაცვით გადაწყვეტილებას.

წარმოდგენილი გზშ ის ანგარიში განიხილეს შესაბამისმა ექსპერტებმა და სპეციალისტებმა გარემოსდაცვითი შეფასების სხვადასხვა მიმართულებით, რომელთა დასკვნების შეჯერებისა და წარმოდგენილი დოკუმენტაციის შეფასების ასევე გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-12 მუხლისა და ამავე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის საფუძველზე

#### ვ ბ რ ძ ა ნ ე ბ :

1. გაიცეს გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასა და აგლომერაციის უბნის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე (თერჯოლის მუნიციპალიტეტი, სოფ. ნახშირღელე);
2. ბრძანების პირველი პუნქტით გათვალისწინებული გარემოსდაცვითი გადაწყვეტილება გაიცემა განუსაზღვრელი ვადით;
3. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ საქმიანობის განხორციელება უზრუნველყოს წარმოდგენილი გარემოზე ზემოქმედების შეფასების ანგარიშის, ტექნოლოგიური სქემის, გარემოზე მოსალოდნელი ზემოქმედების შემარბილებელი ღონისძიებების, გარემოსდაცვითი მონიტორინგის და ავარიულ სიტუაციებზე რეაგირების გეგმების, დასკვნებისა და რეკომენდაციების შესაბამისად;
4. ძალადაკარგულად გამოცხადდეს „შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ მეტალურგიულ წარმოებაზე (ფეროშენადნობთა ქარხნის ექსპლუატაციის პირობების შეცვლა) საქართველოს გარემოსა და ხუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2013 წლის 24 მაისის №-29 ბრძანება;
5. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ უზრუნველყოს „ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების პროექტში“ წარმოდგენილი გამოყოფის და გაფრქვევის წყაროების პარამეტრების დაცვა და შესაბამისად, დადგენილი ზღვრულად დასაშვები გაფრქვევის ნორმების შესრულება;
6. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ ექსპლუატაციის ეტაპზე უზრუნველყოს ტექნოლოგიურ ციკლში ჩართული დანადგარების ტექნიკური კონტროლი;

7. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ უზრუნველყოს ჩამდინარე წყლებთან ერთად ზედაპირული წყლის ობიექტში ჩაშვებულ დამაბინძურებელ ნივთიერებათა ზღვრულად დასაშვები რაშვების (ზღვ) ნორმების დაცვა;
8. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ ექსპლუატაციის პირობების შეცვლამდე უზრუნველყოს ხანძარქრობის სისტემისა და საწარმოს საერთო ფართობზე (ავტოსამრეცხაოსა და ავტოგასამართის ჩამდინარე წყლის გარდა) წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების (ანგარიში/მართვა) შესახებ დეტალური ინფორმაციის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა;
9. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაეციმდინ 3 თვის ვადაში განაახლოს და შესათანხმებლად წარმოდგინოს სამინისტროში ნარჩენების მართვის გეგმა, საქართველოს გარემოსა და ბუნებრივი რესურსების დაცვის მინისტრის 2015 წლის 4 აგვისტოს N211 ბრძანებით დამტკიცებული კომპანიის ნარჩენების მართვის გეგმის განხილვისა და შეთანხმების წესის ვალდებულებებისა და მოთხოვნების შესაბამისად; ნარჩენების მართვა უზრუნველყოს შეთანხმებული გეგმის შესაბამისად;
10. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ საწარმოს ექსპლუატაციის პროცესში, ატმოსფერულ ჰაერში მტვრის გავრცელების შემცირების მიზნით, ქარიან და მშრალ ამინდებში უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიისა და დასაწყობებული წიდის წყლით დანამვა;
11. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ ექსპლუატაციის პირობების შეცვლამდე უზრუნველყოს, საწარმოო პროცესში წარმოქმნილი წიდის მართვის დეტალური ღონისძიებების (წარმოებაში გამოყენება და დროებითი/საბოლოო განთავსება მოცულობების მითითებით) შესახებ ინფორმაციის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა;
12. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ ექსპლუატაციის პერიოდში, კანონმდებლობით დადგენილი წესით 3 თვეში ერთხელ უზრუნველყოს მონიტორინგის წარმოება ატმოსფერულ ჰაერში მავნე ნივთიერებათა გაფრქვევის წყაროებზე, ასევე 3 თვეში ერთხელ უზრუნველყოს ატმოსფერულ ჰაერზე მონიტორინგის განხორციელება ინსტრუმენტული მეთოდით უახლოეს მოსახლესთან. უახლოეს მოსახლესთან მონიტორინგის შედეგები წარმოდგინოს სამინისტროში განსაბილველად წელიწადში ორჯერ;
13. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს საწარმოს ტერიტორიაზე სუნის წარმომქმნელი პოტენციური წყაროების გამოვლენა, ხოლო აღნიშნული წყაროს იდენტიფიცირების შემთხვევაში დამატებითი შემარბილებელი ღონისძიებების განსაზღვრა და სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენა სუნის წარმომქმნელი პოტენციური წყაროს გამოვლენიდან ერთი თვის ვადაში;
14. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ ექსპლუატაციის პერიოდში უზრუნველყოს ხმაურზე მონიტორინგის წარმოება 3 თვეში ერთხელ, როგორც საწარმოს ტერიტორიაზე, ისე უახლოეს საცხოვრებელ სახლთან მიმართებაში, ხოლო ნორმის გადაჭარბების შემთხვევაში განხორციელოს შესაბამისი შემარბილებელი ღონისძიებები;
15. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ საწარმოს ფუნქციონირების შეწყვეტის შემთხვევაში, უზრუნველყოს ამ საქმიანობის დაწყებამდე არსებული გარემოს

მდგომარეობის აღდგენის საშუალებების განსაზღვრა და შესაბამისი პროექტის სამინისტროსთან შეთანხმება;

16. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ სამუშაოების დაწყების, დასრულებისა და ექსპლუატაციაში გაშვების შესახებ დაუყოვნებლივ აცნობოს საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს;
17. შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიამ“ გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების სხვა პირზე გადაცემის შემთხვევაში გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გადაცემა განახორციელოს „გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსით“ დადგენილი წესით;
18. ბრძანება დაუყოვნებლივ გაეზღვეოს შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“;
19. ბრძანება ძალაში შევიდეს შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ მიერ ამ ბრძანების გაცნობისთანავე;
20. გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემიდან 5 დღის ვადაში აღნიშნული გადაწყვეტილება განთავსდეს სამინისტროს ოფიციალურ ვებგვერდზე და თერჯოლის მუნიციპალიტეტის აღმასრულებელი ან/და წარმომადგენლობითი ორგანოს საინფორმაციო დავაზე;
21. ეს ბრძანება შეიძლება გასაჩივრდეს თბილისის საქალაქო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა კოლეგიაში (თბილისი, დ. აღმაშენებლის ხეივანი, მე-12 კმ. N6) მხარის მიერ მისი ოფიციალური წესით გაცნობის დღიდან ერთი თვის ვადაში.

ლევან დავითაშვილი



მინისტრი

10.2. დანართი 2. სამინისტროს 22.04.2020 N4028/01 წერილი.



გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტრო  
MINISTRY OF ENVIRONMENTAL PROTECTION AND AGRICULTURE OF GEORGIA

საქართველო  
GEORGIA

შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“  
N 102/1  
თარიღი: 23 აპრილი 2020

N 4028/01  
22.04.2020

4028-01-2-202004221720



*Handwritten notes and signatures in the left margin.*

შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ დირექტორს  
ზატონ მამია ბერიძეს

მისამართი: თბილისი 0183, შვეგულიძის ქ. N1

ზატონა მამია,

თქვენი მიმდინარე წლის 11 მარტის N42/03-20 (სამინისტროში რეგისტრაციის N4366) წერილის პასუხად, რომელიც ეხება „შპს „ჭიათურმანგანუმ ჯორჯიას“ ფეროშენადნობების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასა და აგლომერაციის უბნის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ“ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის სამინისტროს 2019 წლის 17 ივნისის N2-552 ბრძანების მე-8 პირობის შესრულების მიზნით, ინფორმაციის წარმოდგენას საკითხს გაცნობით, რომ აღნიშნული პირობა ითვალისწინებს ექსპლუატაციის პირობების შეცვლამდე ხანძარქრობის სისტემისა და საწარმოს საერთო ფართობზე საცხისამრეცხავისა და აგლომერაციის ჩადენიარე წყლის გარდა) წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების სანიაღვრეში მართლაც შესახებ დეტალური ინფორმაციის სამინისტროში შესათანხმებლად წარმოდგენას.

თქვენ მიერ წარმოდგენილი ინფორმაცია საწარმოს საერთო ფართობზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის თაობაზე, და არ არის წარმოდგენილი დეტალური ინფორმაცია ხანძარქრობის სისტემების შესახებ.

ამასთან გაცნობებით, რომ საწარმოს საერთო ფართობზე წარმოქმნილი სანიაღვრე წყლების მართვის საკითხები, მათ შორის სანიაღვრე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია არ იყო გათვალისწინებული პროექტის გზის ანგარიშსა და სამინისტროსთან შეთანხმებულ ზედამხედველ წყლის ობიექტში ჩამდინარე წყლებთან ერთად ჩამყვებულ დამაზინებურებელ ნივთიერებებზე ზღერულად დასამკვირ ჩამყვების სორმების პროექტში.

„გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის“ II დანართის 10.6 ქვეპუნქტის თანახმად, ჩამდინარე წყლების გამწმენდი ნაგებობის მოწყობა და ექსპლუატაცია, ასევე კოდექსის მე-5 მუხლის მე-12 ნაწილის თანახმად, გარემოსდაცვითი გადაწყვეტილებით გათვალისწინებული საქმიანობის საწარმოო ტექნოლოგიის განსხვავებული ტექნოლოგიით შეცვლა ან/და ექსპლუატაციის პირობების შეცვლა მათ შორის წარმადობის გაზრდა ან კოდექსით განსაზღვრული სკრინინგის პროცედურისადმი დაქვემდებარებულ საქმიანობად მიიჩნევა.

სკრინინგის პროცედურის გასაუქვად, საქმიანობის განმახორციელებელმა საჭიროა საბინისტროში წარმოდგინოს განცხადება, რომელიც უნდა მოიცავდეს საქართველოს ზოგადი ადმინისტრაციული კოდექსის 78-ე მუხლით გათვალისწინებულ ინფორმაციას. მოკლე ინფორმაციას დაგეგმილი საქმიანობის მახასიათებლების განხორციელების ადგილისა და გარემოზე შესაძლო ზემოქმედების ხასიათის შესახებ სკრინინგის განცხადება ასევე უნდა მომზადდეს გარემოსდაცვითი შეფასების კოდექსის მე-7 მუხლის მე-6 ნაწილის კრიტერიუმების გათვალისწინებით.

ამასთან, შპს „ქობულენიანთა ქობულენის“ ტერიტორიების საწარმოს ექსპლუატაციის პირობების ცვლილებასა და აგლომერაციის უბნის მოწყობასა და ექსპლუატაციაზე გარემოსდაცვითი გადაწყვეტილების გაცემის შესახებ საქართველოს გარემოს დაცვისა და სოფლის მეურნეობის მინისტრის 2019 წლის 17 ივნისის №2-552 ბრძანების მე-8 პირობის შესრულების მასშტაბით, გთხოვთ, წარმოადგინოთ დეტალური ინფორმაცია ხანძარქობის სისტემების თაობაზე.

პატივისცემით,

ნინო თანდილაშვილი

მინისტრის მოადგილე

